ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6250257

ნომერი: AR1911364

თარიღი : 30.08.2022

გაცემის თარიღი : 14.12.2022

გაცნობის თარიღი : 14.12.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტ. გრანელი , N17-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ჭანჭალეიშვილი პ/ნ 01019021203
- თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 16 კორ. 2 ბ. 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო ობიექტები
  - უმაღლესი სასწავლებლები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა:
-წარმოდგენილ იქნეს არსებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი შენობის რეალური ვიზუალით.
-საჭიროა შემცირდეს მოცულობა/სართულიანობა და ესკიზი მოვიდეს მიმდებარე განაშენიანებასთან შესაბამისობაში.
აღნიშნულიდან გამომდინარე ასევე შესწორდეს ბანერზე მითითებული საპროექტო შენობის სართულიანობა.
2. ....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : -ტოპოგრაფიულ რუკაზე და ორთოფოტოზე მოცემული შენობების კონტური მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
3. გათვალიწინებულ იქნეს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი (წერილის ნომერი: 18-01223292286 თარიღი: 25/11/2022) ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი (MIA 4 22 03324373 25/11/2022) და წარმოდგენილ იქნეს შესაბამისად განახლებული დოკუმენტაცია,რის შემდეგაც მოხდება განაცხადის ხელახლა გაგზავნა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.